სასამართლო რეფორმის რეკომენდაციები

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი

სასამართლო რეფორმის რეკომენდაციები მომზადდა დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ, USIAD/PROLoG პროგრამის და EWMI მხარდაჭერით. რეკომენდაციები ეფუძნება დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის წევრების მიერ 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის ივნისის პერიოდში ჩატარებულ თემატურ კვლევებს. კვლევა აანალიზებს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, პოსტკომუნისტურ რეალობაში და ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში გატარებულ სასამართლო რეფორმებს, რეფორმების წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზებს, რაც გასათვალისწინებელია ამჟამად მსგავს კონტექსტში მყოფი საქართველოსთვის. კვლევისა და მის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების მომზადებაში ჯგუფს კონსულტაციებს უწევდა ამერიკელი ექსპერტი ჯეიმს მოლიტერნო. კვლევის მიზნებისთვის დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა გამართა ორდღიანი ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია კვლევაში განხილული 10 ქვეყნის 30 წარმომადგენლის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით. სასამართლო რეფორმის რეკომენდაციების შემუშავებაში ჯგუფს მოსაზრებები და წინადადებები გაუზიარა საქართველოს ორმა მოქმედმა მოსამართლემ.

რეკომენდაციებზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე გარემოება, რაც დღესდღეობით არსებობს და გავლენას ახდენს რეკომენდაციების ფორმულირებაზე: შესწავლილი ქვეყნების მსგავსად, საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული პოსტ-კომუნისტური მენტალიტეტის და კლანური მმართველობის კონტექსტი; რეფორმის გასატარებლად საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის დაბალი შესაძლებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო რეფორმა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სასამართლო სისტემაში შიდა კონტროლის და შეკავების მექანიზმების უზრუნველყოფა.
- მმართველობით ფუნქციათა დანაწილება ეფექტიანი მმართველობისთვის.
- ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მსურველი მოსამართლეების მხარდაჭერა და თვითმმართველობის გაძლიერება მათი ფართო ჩართულობით
- სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა სასამართლოს მმართველობაში.
- სასამართლოს ანგარიშვალდებულების ეფექტიანი სისტემის შექმნა.
- მოქმედ მოსამართლეთა სავარაუდო კორუფციული ქმედებების გადასინჯვა.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, რეფორმის ეფექტიანი იმპლემენტაციის, ასევე პოლიტიკოსთა შორის 19 აპრილის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების, გავლილი რეფორმების ანალიზის სრულფასოვანი და აქტორთა მხრიდან მიუკერძოებელი განხორციელების მიზნით დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი მიმართავს:

- საქართველო პარლამენტს - სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის, როგორც პრობლემის აღიარების შესახებ რეზოლუციის მიღების რეკომენდაციით, რომელიც დაეფუძნება პარლამენტში შექმნილი კლანური მმართველობის შემსწავლელი დროებითი კომისიის კვლევის შედეგებს;

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი ასევე მიმართავს

- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს - განაგრძონ სამართლის უზენაესობის მხარდამჭერი იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც გააძლიერებს ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მქონე მოსამართლეებს და არა მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს და მათთან დაახლოებულ პირებს.

სასამართლო რეფორმის რეკომენდაციები:

მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოებს შორის ძალაუფლების დანაწილების, რიგითი მოსამართლეების რეალურ თვითმმართველობაში ჩართვის და საზოგადოებრივი ჩართულობით სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით:

1. შეიცვალოს იუსტიციის საბჭოს ფორმირების წესი

იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები: იუსტიციის საბჭოს 8 მოსამართლე წევრის ადგილზე დადგინდეს სასამართლოთა წარმომადგენლობის კვოტირების სისტემა შემდეგნაირად: ერთი წევრი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიდან; თითო-თითო წევრი ორი სააპელაციო სასამართლოდან; სამი წევრი დასავლეთ საქართველოს პირველი ინსტანციის სხვადასხვა სასამართლოებიდან; ორი წევრი აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ინსტანციის სხვადასხვა სასამართლოებიდან.

8 მოსამართლე წევრთაგან, ოთხი წევრი დასახელდეს მოსამართლეების მიერ, ხოლო ოთხი წევრი საზოგადოების მიერ. საზოგადოების სახელით წევრებს დაასახელებს პანელი, კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებით. კოლეგიის შემადგენლობაში შესაძლოა იყვნენ წარმოდგენილნი ადვოკატთა ასოციაცია, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრები (უმცირესობაში), საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ კანონის უზენაესობის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, სახალხო დამცველის წარმომადგენელი, იურიდიული ფაკულტეტების დეკანების მიერ დასახელებული წევრი.

ალტერნატიული ვერსია: 8 მოსამართლემ თავად წარადგინოს თავი საბჭოს წევრობის კანდიდატად და საზოგადოებრივმა კოლეგიამ (უცხოელი ექსპერტების შემადგენლობით) წარადგინოს დასკვნა როგორც მოსამართლე, ასევე არამოსამართლე წევრების კორუფციული ქცევების/კეთილსინდისიერების[1] შესახებ.

იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის პროცედურა[2]: მოსამართლეთა კონფერენციამდე 2 თვით ადრე, ორი კვირის განმავლობაში, საბჭოს წევრობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარუდგინონ ადმინისტრაციულ კომიტეტს ხედვა და ოთხწლიანი პროგრამა საბჭოში მისი საქმიანობის შესახებ (მისია), მისი განხორციელების გზები -კონკრეტულ დროში გაწერილი აქტივობები. მის შესახებ განახლებული ბიოგრაფიული ინფორმაცია (CV), მოტივაცია, იმაზე ხაზგასმით, თუ რატომ თვლის თავს საბჭოს წევრობისთვის ყველაზე მეტად შესაფერის კანდიდატად. კანდიდატთა სია თანდართული დოკუმენტებით განთავსდეს იუსტიციის საბჭოს და ყველა სასამართლოს ვებგვერდზე, გამოქვეყნდეს მედიაში. შეიქმნას თითოეული კანდიდატის პორტალი, სადაც კანდიდატის მიერ წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად, გამოქვეყნდება ნებისმიერი პირის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრება, დოკუმენტი ან/და შეკითხვა.

კონფერენციაზე თითოეულ კანდიდატს უნდა განესაზღვროს სიტყვით გამოსვლის, თავისი პროგრამის წარდგენის, საზოგადოებისგან შემოსულ წერილობით მასალებზე მოსაზრების ჩამოყალიბების და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულება.

გადაწყვეტილება კონფერენციის მიერ მიიღება ხმების უმრავლესობით. რამდენიმე კანდიდატის მიერ თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება კოლეგიურ ორგანოში მოსამართლეთა გენდერული ბალანსის დაცვას, ხოლო შემდეგ სამოსამართლო გამოცდილებას.

იუსტიციის საბჭოს (სხვა თვითმმართველობის ორგანოს) წევრი მოსამართლე არ შეიძლება იმავდროულად სასამართლოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე მოსამართლე [3], ადმინისტრაციული კომიტეტის, სადიციპლინო კოლეგიის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი, მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე ან მმართველო ორგანოს წევრი, ასევე პირი, რომელსაც ბოლო 8 წლის განმავლობაში ეკავა აღნიშნული თანამდებობა.

იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები: არამოსამართლე წევრების ასარჩევად პარლამენტის წევრებს და საზოგადოებას უნდა მიეცეთ საშუალება შეკითხვები დაუსვან კანდიდატებს. ეს რეკომენდაცია სრულად შეეხება ასევე პრეზიდენტის მიერ იუსტიციის საბჭოს ერთი წევრის დანიშვნის პროცესს.

იმისთვის, რომ წევრთა დანიშვნა ნაკლებად იყოს დამოკიდებული პარლამენტში უმრავლესობის მქონე პარტიაზე ან პარტიულ კოალიციაზე, არამოსამართლე 5 წევრიდან ნომინირების უფლება მიეცეთ კვოტირებულად: ა) ადვოკატთა ასოციაციას; ბ) აკრედიტებულ იურიდიული ფაკულტეტის დეკანებს,

---

[1] CCJE 2018 წლის 21 დასკვნით, ამ დასკვნის გაგებით, სამოსამართლო კორუფცია მოიცავს არაკეთილსინდისიერ, თაღლითურ ან არაეთიკურ ქცევას პირადი ან სხვისი სარგებლის მიღების მიზნით, პარ. 9..

[2] ეს პროცედურა ასევე უნდა გავრცელდეს კონფერენციის მიერ თვითმმართველობის ყველა ორგანოში მოსამართლეთა არჩევისას.

[3] ქვემოთ იხ. მოსამართლეთა სათათბირო კოლეგია

კენჭისყრის შედეგად; გ) სახალხო დამცველს; დ) მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, სასამართლოში პრო-ბონო წარმომადგენლობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით, რაც უნდა დადასტურდეს ხუთი წლის განმავლობაში წელიწადში არანაკლებ სამი საქმის წარმოებით ერთი ინსტანციის სასამართლოში მაინც. შესაბამისმა სუბიექტმა ერთ ადგილზე უნდა წარადგინოს არაუმეტეს სამი კანდიდატისა, რომელთა შორის საბოლოო არჩევანს გააკეთებს პარლამენტი, თანაბარი ხმების მოგროვების შემთხვევაში გამარჯვებული გამოვლინდეს არამოსამართლე წევრთა შორის გენდერული ბალანსის დაცვის პრინციპით, იმგვარად, რომ ხუთიდან ორი წევრი მაინც იყოს განსხვავებული სქესის, ამის შემდეგ პრიორიტეტი მიენიჭოს კანდიდატის სამუშაო გამოცდილებას. [4]

არამოსამართლე წევრების პროფესიული ცენზი გაიზარდოს 5-დან 10 წლამდე. არამოსამართლე წევრს არ უნდა შეეზღუდოს პროფესიული საქმიანობა.

2. განხორციელდეს იუსტიციის საბჭოს ფუნქციების დეცენტრალიზაცია და გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა საბჭოს ფუნქციების განხორციელებაში

იუსტიციის უმაღლესი საბჭო გათავისუფლდეს შემდეგი ფუნქციებისგან:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის არჩევა. საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდეს ხუთამდე - 2 მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი, 2 იურიდული ფაკულტეტების დეკანების მიერ არჩეული წევრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი არამოსამართლე წევრი გამოვლინდეს წილისყრით.
- მოსამართლის გამოცდის ორგანიზება ჩატარება გადაეცეს განათლების სამინისტროს ან იუსტიციის სკოლას.
- მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფუნქცია გადაეცეს სპეციალიზებულ კომისიებს.
- მოსამართლის დისციპლინური ბრალმდებლის ფუნქცია გადაეცეს დამოუკიდებელ ინსპექტორს.

იუსტიციის საბჭომ გადაწყვეტილება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიიღოს ორმაგი 2/3 ის პრინციპით (მოსამართლე და არამოსამართლე წევრების 2/3)[5]. ალტერნატიულად, შესაძლებელია 2/3 ის გაზრდა 4/5 ით, რომ გადაწყვეტილებები მიიღებოდეს 12 ხმით 15-დან (ნაცვლად 10-სა).

ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება უნდა გავრცელდეს ყველა საკადრო და სხვა საკვანძო გადაწყვეტილების მიღებაზე, მათ შორის:

- მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრაზე და ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობის დამტკიცებაზე.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის წარდგენაზე.
- მოსამართლეების დაწინაურებაზე.

---

[4] ეს წესი გავრცელდეს სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრის არჩევაზეც

[5] ორმაგი 2/3 პრინციპი შემოთავაზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის, ფრაქცია „ლელოს“ და USAID მიერ

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევაზე.

3. გაუქმდეს სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტი და შეიქმნას მოსამართლეთა სათათბირო კოლეგია

გაუქმდეს სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია. მის ნაცვლად სასამართლოებში სადაც ორზე მეტი მოსამართლეა შეიქმნას მოსამართლეთა სათათბირო კოლეგია 18 თვის ვადით. კოლეგიის სხდომებს მოიწვევს კოორდინატორი მოსამართლე, რომელის ფუნქციების განხორციელება ყოველ 6 თვეში ერთხელ დაეკისრებათ კოლეგიის წევრებს როტაციით.

სათათბირო კოლეგიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს სასამართლოებში სპეციალიზებული პალატების (კოლეგიების) რაოდენობის მიხედვით. თითო პალატიდან აირჩეს (წილისყრით გამოვლინდეს) კოლეგიის წევრი მოსამართლე იმ პრინციპით, რომ ყოველი მომდევნო წილისყრა ჩატარდეს განსხვავებული სქესის მოსამართლეებს შორის. წილისყრაში არ მონაწილეობს მოსამართლე, რომელსაც რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობა უკავია სასამართლო სისტემაში. სასამართლოებში სადაც არ არის სპეციალიზაცია, სათათბირო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვროს სამი მოსამართლით, იმ პრინციპით, რომ ერთი წევრი მაინც იყოს განსხვავებული სქესის. სასამართლოში სადაც სამი მოსამართლეა, სამივე წარმოადგენს სათათბირო კოლეგიას, ორი მოსამართლის შემთხვევაში, შესაძლებელია მონაცვლეობით სათათბირო კოლეგიის ფუნქცია განახორციელოს ერთმა მოსამართლემ.

სასამართლოს თავმჯდომარის კანონით გათვალისწინებული ფუნქციები გადანაწილდეს სასამართლოს მენეჯერს (მაგ. მანდატურის დანიშვნა), კანცელარიას (საქმეთა განაწილების სისტემაში ჩარევის შემთხვევები), და კოორდინატორ მოსამართლეს (სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევების საქმეთა განხილვა) შორის.

სათათბირო კოლეგიას აქვს სასამართლოს წარმომადგენლობითი ფუნქცია. მენეჯერი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება იუსტიციის საბჭოს მიერ სათათბირო კოლეგიის წარდგინებით. სასამართლოს მენეჯერი ანგარიშვალდებულია სათათბირო კოლეგიის და კოორდინატორი მოსამართლის წინაშე. მოსამართლის თანაშემწეს და მდივანს ნიშნავს სათათბირო კოლეგია შესაბამისი მოსამართლის წარდგინებით. სათათბირო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, შესაბამისი სასამართლოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (საქმეთა განაწილების წესში ცვლილება; მოსამართლეთა მორიგეობა; შვებულება; სასამართლო მოხელეთა საკონკურსო კომისიის შექმნა; მიმართავს იუსტიციის საბჭოს, მატერიალურ ტექნიკურ დეპარტამენტს, მენეჯმენტის დეპარტამენტს, მათ ფუნქციებში შემავალი საკითხების თაობაზე).

მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის და სასამართლოს გარედან კადრების შედინების უზრუნველყოფის მიზნით:

4. გაფართოვდეს იუსტიციის სკოლაში სწავლის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულ პირთა წრე

გაფართოვდეს იუსტიციის სკოლაში სწავლისაგან განთავისუფლებულ პირთა წრე. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ეს წინაპირობა გაუქმდეს ყველა იმ იურისტისთვის, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია სასამართლო პროცესებში მონაწილეობასთან. დადგინდეს ასეთი პირების გამოცდილების ვადა, როგორც მოსამართლედ დანიშვნის წინაპირობა.

5. შემოღებულ იქნას მოსამართლის თანამდებობაზე სასამართლო სისტემის გარედან დასანიშნ პირთა კვოტები

ყოველ კონკურსზე გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების საერთო რაოდენობის სულ მცირე 30% განისაზღვროს სასამართლო სისტემის გარეთ დასაქმებული იურისტებისთვის.

6. შეიქმნას მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიები

მოსამართლის შერჩევის პროცესში გაიზარდოს საზოგადოების და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობა. შეიქმნას ორი სპეციალური კომისია, როლებიც მოახდენენ კანდიდატების ფორმალური შესაბამისობის და დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასებას. ერთი კომისია შეაფასებს მოსამართლის პროფესიონალიზმს, მეორე - კეთილსინდისიერებას. კომისიები დაკომპლექტდება შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე საზოგადოების და სხვადასხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებისგან (მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგების აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელი შესაბამისი სფეროს უცხოელი ექსპერტები). კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ მოსამართლეები, თუმცა ისინი არ იქნებიან უმრავლესობაში. კომისიების წერილობითი და დასაბუთებული შეფასებები გადაეცემა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს/პარლამენტს მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

სპეციალური კომისიების მიერ შეფასების პრინციპი გამოყენებულ იქნას მოსამართლეთა დაწინაურებისთვის. ზემდგომ ინსტანციებში მოსამართლეთა დასანიშნად ვაკანსიების გამოყოფა მოხდეს არა მხოლოდ სასამართლო სისტემის შიგნიდან დაწინაურების, არამედ ასევე, პირველადი დანიშვნის წესით შესავსებად.

გადაიხედოს მოსამართლეთა შეფასების მახასიათებლები და მახასიათებლების შემოწმების მეთოდოლოგია კანონით განისაზღვროს[6].

---

[6] დეტალური რეკომენდაციებისთვის გამოსადეგია ვენეციის კომისიის დასკვნა ბულგარეთის სასამართლო სისტემის კანონის შესახებ (Venice Commission, Opinion on the Judicial System Act of Bulgaria, CDL-AD(2017)018 https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)018-e)

7. გადაიხედოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

სპეციალური კომისიების მიერ კანდიდატის შეფასების შედეგების და მინიჭებულ ქულათა საფუძველზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ/პარლამენტმა მიიღოს მოსამართლის დანიშვნის/ნომინირების გადაწყვეტილება. დამნიშნავმა ორგანომ მოსამართლის თანამდებობაზე უნდა დანიშნოს შეფასებაში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი/კანდიდატები. შეფასების შედეგების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება დამნიშნავმა ორგანომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს.

სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით:

8. შეიქმნას იუსტიციის საბჭოსგან დამოუკიდებელი მოსამართლეთა სადისციპლინო სისტემა

დისციპლინური ბრალმდებლის ფუნქცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გადაეცეს დამოუკიდებელ ორგანოს, დამოუკიდებელ ინსპექტორს. დამოუკიდებელი ინსპექტორი უნდა აირჩიოს საქართველოს პარლამენტმა შემადგენლობის 2/3-ით.

სადისციპლინო კოლეგიაში გადაწყვეტილების მისაღებად განისაზღვროს 4 ხმა.

გაიზარდოს დამოუკიდებელი ინსპექტორის საგამოძიებო უფლებამოსილებები. მას უნდა შეეძლოს მოწმის გამოძახება და დაკითხვა სავალდებულო საფუძველზე, ასევე, მოითხოვოს დოკუმენტები კერძო დაწესებულებებიდან და დანიშნოს ექსპერტიზა.

მოსამართლეთა დისციპლინური სახდელის დაწესების შესახებ გადაწყვეტილებები სრულად უნდა გამოქვეყნდეს.

საქმის გაჭიანურება, როგორც დისციპლინური გადაცდომა არ უნდა იყოს მიბმული საპროცესო ვადებზე, არამედ გონივრული განხილვის სტანდარტზე ამრიგად, ეს დისციპლინური გადაცდომა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც "მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზის გარეშე საქმის განხილვის და საქმისაწრმოების გონივრული ვადების დარღვევა".

მოქმედ მოსამართლეთა და მოსამართლეობის კანდიდატთა სავარაუდო კორუფციული ქცევების გამოვლენის მიზნით:

9. შეიქმნას დროებითი ანტიკორუფციული კომისია

შეიქმნას საქართველოში კანონის უზენაესობის მიმართულებით მომუშავე დონორი ორგანიზაციების მიერ დასახელებული საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტებული მოსამართლეთა და

მოსამართლეობის კანდიდატების შემოწმების დროებითი ანტიკორუფციული კომისია. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 წლით. კომისია ამოწმებს:

- მოქმედ მოსამართლეთა და მოსამართლეობის კანდიდატთა ქონების წარმომავლობის ლეგიტიმურობას;
- მოსამართლის/კანდიდატის და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების წესის შესაბამისობას დეკლარირებულ შემოსავალთან;
- მოსამართლის/კანდიდატის ცხოვრების წესის შესაბამისობას მოსამართლის სტატუსთან;
- მოსამართლის და მოსამართლეობის კანდიდატის არაფორმალურ კავშირებს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან;
- მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის, არასათანადო კომუნიკაციის ან/და მცდელობის შემთხვევებს;
- თანამდებობის გამოყენება პირადი სარგებლის მიღების ან მესამე პირებისთვის უპირატესობის ან სარგებლის მინიჭების მიზნით.

კომისია ადგენს დასაბუთებულ დასკვნას მოსამართლის/კანდიდატის საქმიანობაში კორუფციული ნიშნების არარსებობის ან მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, ხოლო კანდიდატის შემთხვევაში თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, რასაც აღსასრულებლად უგზავნის იუსტიციის საბჭოს. კომისიის უარყოფითი დასკვნა საჩივრდება შესაბამისად, სადისციპლინო კოლეგიაში ან საკვალიფიკაციო პალატაში.

კომისიასთან თანამშრომლობა დაცულია მამხილებლის დაცვის სტანდარტით.

კომისიის საქმიანობას ზედამხედველობას უწევენ საერთაშორისო მისიები.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

რეკომენდაციების მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.